თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 12

ქ. თერჯოლა 08.12.2021 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბრეაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გრიგოლ გიორგაძე, 6. გიორგი ბარათაშვილი, 7. რამინი რობაქიძე, 8. როლანდი მესხი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. მანუჩარ ფანჩულიძე, 2. კობა კირკიტაძე

კომისიის შემადგენლობა: 10 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 8 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 2 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2821336126 , 2021.02.12 წ.);

მომხს.: თ. ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 2 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი-ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია საშემოსავლო ნაწილის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 77.0 ათასი ლარით და შეადგენს 21637.0 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 77.0 ათასი ლარით (ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელის გეგმა გაიზარდა 77.0 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა - 188.0 ათასი ლარით, მერიის დაფინანსება შემცირდა 60.0 ათასი ლარით. მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა შემცირდა 12.0 ათასი ლარით. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი შემცირდა 28.0 ათასი ლარით. წყალმომარაგება შემცირდა 16.2 ათასი ლარით.გარე განათების ხარჯი შემცირდა 11.8 ათასი ლარით. საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება შემცირდა 10.0 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება შემცირდა 25.0 ათასი ლარით. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება შემცირდა 15.0 ათასი ლარით. ჯანდაცვის ობიექტების დაფინანსება შემცირდა 10.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 265.0 ათასი ლარით: დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 260.0 ათასი ლარით. სახელოვნებო სკოლის დაფინანსება გაიზარდა 5.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, როლანდი მესხმა, გოჩა ვერულაშვილმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი